



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს ხდომის

**ოქმი N4**

ქ. მარნეული

17.02.2017 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**ბიუროს წევრები:** - ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, რაგიმ ასკეროვი, რამიზ გულამედოვი.

**სხდომას არ ესწრებოდა:** ნაბი აბდულაევი, ნიკოლოზ გოგოჭური, ირაკლი ბურნაძე, ქამილ ალიევი, გიორგი შუკაკიძე.

**სხდომას ესწრებოდა:** მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი ნინო დეკანოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. ა.ა.ი.პ. „კულტურის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.
3. ა.ა.ი.პ. „სპორტული სკოლა“-ის 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.
4. შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.
5. შ.პ.ს. „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.
6. ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 თებერვლის N461-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 3 თებერვლის N03/1124 წერილის განხილვის შესახებ.
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის 2017 წლის 24 იანვრის N251-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

9. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ.

10. ქალაქ მარნეულში, ერეკლე მეორეს ქუჩა N2-ში მცხოვრები მკა გელაშვილის განცხადების განხილვის შესახებ.

11. პოეტ მახმუდ გაჯიხალილოვის განცხადების განხილვის შესახებ.

12. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების კოლექტიური განცხადების განხილვის შესახებ.

13. მარნეულის სოფელ წერეთელში მცხოვრები კოკი ხარშილაძის განცხადების განხილვის შესახებ.

14. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 10 თებერვლის N03/1427 წერილის განხილვის შესახებ.

15. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის ნინო დეკანოიძის მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

### **განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:**

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 24 იანვრის N03/744 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 24 იანვრის N03/744 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 24 იანვრის N03/744 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 24 იანვრის N03/744

წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია შ.პ.ს. „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 3 თებერვლის N03/1122 წერილით შემოსული დოკუმენტაცია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ შერჩეული პროექტების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 3 თებერვლის N03/1124 წერილით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის, 24-ე და 54-ე მუხლის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე და 61-ე მუხლების საფუძველზე, გააცნო განკარგულების პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტების განსაზღვრის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 25 იანვრის N03/767 წერილით შემოსული, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის 2017 წლის 24 იანვრის N251-03 მოხსენებითი ბარათი მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტსმენის გიორგი გუჯეჯიანისათვის, ერთჯერადად თანხის გამოყოფის შესახებ, რომელიც ამჟამად გადის სპეციალურ წვრთნას, რათა ღირსეულად წარსდგეს სპორტულ შეჯიბრებებზე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათის ლიმიტის დაწესების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში, ერეკლე მეორეს ქუჩა N2-ში მცხოვრები მაკა გელაშვილის განცხადება, რომელიც ითხოვს შვილის, ანნა ბახტურიძის დასაფინანსებლად თანხის გამოყოფას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო პოეტ მახმუდ გაჯიხალილოვის განცხადება, რომელიც ლექსების კრებულის გამოსაცემად ითხოვს ფინანსურ დახმარებას. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედლოვმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე ბიუჯეტში ასეთი სახის დასაფინანსებლად თანხა გათვალისწინებული არაა და გამოითქვა აზრი რომ საკითხის განხილვა

დროებით გადაიდოს, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი ამოღებული იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ერთობლივი განცხადება, რომლებიც ითხოვენ საკრებულოს წევრების მიერ გაწეული სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯების გაზრდას. ბიუროს სხდომაზე გაკეთდა განმარტება, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს კანონის 156-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრისათვის, რომელიც არ არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს. სწორედ ამ მუხლის საფუძველზე იქნა გაანგარიშებული ყოველთვიურ ხარჯად 397 ლარი და ვიდრე საქართველოს მთავრობის მიერ არ იქნება განსაზღვრული მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანამდებობრივი სარგოს ახალი ზედა ზღვარი, შეუძლებელია ამ საკითხზე მსჯელობა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი ამოღებული იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო სოფელ წერეთელში მცხოვრები კოკი ხარშილადის განცხადება, რომელიც წერს ლექსებს და კრებულის გამოსაცემად ითხოვს ფინანსურ დახმარებას. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე ბიუჯეტში ასეთი სახის დასაფინანსებლად თანხა გათვალისწინებული არაა და გამოითქვა აზრი რომ საკითხის განხილვა დროებით გადაიდოს, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი ამოღებული იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ ბიუროს წევრი ირაკლი ბურნაძე არ ესწრებოდა ბიუროს სხდომას, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გაუკეთა ინფორმაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 10 თებერვლის N03/1427 წერილის შესახებ, რომელიც ეხება შ.პ.ს. „ამირანი“-სა და გამგეობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სოფელ აღმამედლოში საჯარო სკოლის მიმდებარედ სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მოწყობის შესახებ, რაც მიღებულია ცნობად და საკითხი ამოღებულია საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

15. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 132<sup>1</sup>-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ,ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 101-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე და 61-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ №319-ე დადგენილების საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების 2017 წლის წლიური სასწავლო გეგმა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

ბიუროს სხდომის დასრულებამდე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ ითხოვა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს დაემატოს შემდეგი საკითხები: 1.მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ოქტომბრის N34 დადგენილებაში „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით

გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ. 2. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N03 დადგენილებაში „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ. 3. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N04 დადგენილებაში „მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ოქტომბრის №31 დადგენილებაში ცვლილების თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ. 4. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N05 დადგენილებაში „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ. 5. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 13 იანვრის N07 დადგენილებაში „მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი მეტრეველმა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის მეოთხე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი

ვალერი მეტრეველი